საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/7647
13/12/2022

7647-21-2-202212131132

შპს „გინუს“
მის: ქ. რუსთავი, შოთა რუსთაველის ქუჩა, კორპ. 32,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 29 სექტემბრის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი N5221 განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალი სამგორის მიმდებარედ შპს „გინუს“ სასარგებლო წიაღისეულის 81 766 ტონა თიხა-თაბაშირის (გაჯი) მოპოვების გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის პროცესში გაყვანილი იქნა 6 ჭაბურღილი (შურფი) თითოეული 1.0 მ. სიღრმით, რის საფუძველზეც გამოტანილია არამართებული დასკვნა, იმის შესახებ, რომ სამთო მინაკუთვნის ფარგლებში მიწისქვეშა წყლები არ არის. აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი კვლევის საფუძველზე დგინდება, რომ მიწისქვეშა წყლები არ არის მხოლოდ დაძიებულ სიღრმემდე, რაც არ გამორიცხავს მიწისქვეშა წყლების დაბინძურების საფრთხეს;
- გზშ-ის ანგარიშში გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით გაკეთებულია დასკვნა - „საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარება მოსალოდნელი არ არის და შესაბამისად არ არის შემარბილებელი ღონისძიებების გატარების საჭიროება”, რაც არამართებულია და საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან სამთო საქმიანობის შედეგად ამა თუ იმ ხარისხით იცვლება გეოლოგიური გარემო - რელიეფი, ჰიდროლოგიური პირობები და შესაძლებელია ტექნოგენურად პროვოცირებული, ეროზიული და სხვა სახის პროცესების განვითარება, რისი პრევენციული ღონისძიებებიც ასახული უნდა იყოს დოკუმენტაციაში;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ლიცენზიით დაწესებული სამთო მინაკუთვნის მე-5 უბანი წარმოდგენილი shp ფაილის, ორთოფოტოს და საპროექტო ტერიტორიის გენ-გეგმის (სურ. N5.1.2) მიხედვით მოიცავს სამელიორაციო არხს. ამასთან, შპს საქართველოს მელიორაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სამთო მინაკუთვნის მე-5 უბნის სიახლოვეს მდებარეობს კომპანიის კაპიტალში რიცხული ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ქვემო მაგისტრალური არხის გ-15 გამანაწილებელი. აღნიშნულ უბანზე, სამუშაოების მიმდინარეობისას, უპირობოდ

უნდა იქნეს დაცული აღნიშნული გამანაწილებლის გასხვისების ზოლი, რომელიც საექსპლუატაციო გზის ჩათვლით, არხის მარცხენა მხარეს შეადგენს 8 მეტრს, შესაბამისად უნდა დაკორექტირდეს სამთო მინაკუთვნის მე-5 უბნის კონტური (კოორდინატები);

- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ მონიტორინგის გეგმაში აღნიშნულია, რომ ხმაურის გაზომვები მოხდება პერიოდულად, თუმცა არ არის დაკონკრეტებული რა პერიოდულობით მოხდება გაზომვა, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს, გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ (მუხლი 6, ქვეპუნქტი 3) შესაბამისად „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია.“ შესაბამისად მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია მიწის ნაკვეთის დანიშნულების ცვლილების შესახებ;
- ვინაიდან საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე დაგეგმილია 20,4415 ჰა ფართობის სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება, გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენის საფუძვლად მითითებული უნდა იყოს, როგორც „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 2.1 ქვეპუნქტი, ასევე ამავე დანართის 1.1. (10 ჰექტარი ან მეტი ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება) ქვეპუნქტის შესაბამისად და დასაბუთდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით გამოყენების მიზანშეწონილობა/უპირატესობა;
- გზშ-ის ანგარიშის თანახმად ლიცენზიით დაწესებული სამთო მინაკუთვნის მე-6 უბანი მდებარეობს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე თუმცა, მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით აღნიშნული მიწის ნაკვეთის ნაწილი (ს.კ. 81.13.11.162) წარმოადგენს ფიზიკური პირის საკუთრებას, ასევე სამთო მინაკუთვნის მე-2 უბანი გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულ ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებთან ერთად ასევე მოიცავს ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ს.კ. 81.13.17.284). შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ სამი მიწის ნაკვეთის მესაკუთრის თანხმობა საკუთარ მიწის ნაკვეთზე აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული მიწის ნაკვეთის მესაკუთრესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვინაიდან სამთო მინაკუთვნის მე-4 უბანი მდებარეობს უახლოესი დასახლებიდან 450 მეტრის დაშორებით, ხოლო მოპოვებითი სამუშაოებისას გამოყენებული იქნება რამდენიმე ერთეული სამშენებლო ტექნიკა, მოცემული უნდა იყოს გაბნევის ანგარიშის კომპიუტერული დამუშავება (მოდელირება/გათვლები) უახლოეს დასახლებასთან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის შეფასების მიზნით.
- გზშ-ის ანგარიშში გეოლოგიური გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა არასაკმარისი და არათანმიმდევრულია, რაც საჭიროებს კორექტირებას. ამასთან

ანგარიშის თანახმად „საქმიანობა, სამთო მინაკუთვნის კონტურების ფარგლებში, საინჟინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით უსაფრთხოა", რაც საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ობიექტთან დაკავშირებით, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საგანი არ არის საქმიანობის უსაფრთხოების პირობების დადგენა - კვლევის საგანია ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოვლენა;

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა სააგენტოში. აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო